

**ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი**  
**ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი**

**საბაკალავრო პროგრამის დასახელება:** რუსული ფილოლოგია / Russian Philology

**მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:** ფილოლოგიის ბაკალავრი / BA in Philology  
სპეციალობა - რუსული ფილოლოგია

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:**

საბაკალავრო პროგრამის ხანგრძლიობაა 4 აკადემიური წელი (რვა სემესტრი).

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **რუსული ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამით **ფილოლოგიის** ბაკალავრის აკადემიური ხარისხის (რუსული ფილოლოგიის სპეციალობით) მისანიჭებლად საჭირო 240 ECTS კრედიტი ნაწილდება შემდეგნაირად:

- **50 ECTS კრედიტი** ეთმობა ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ყველა სტუდენტისათვის სავალდებულო ე.წ. საფაკულტეტო სასწავლო კურსებს.
- **120 ECTS კრედიტი** განკუთვნილია სტუდენტის მიერ არჩეული ძირითადი (მაპროფილებელი) სპეციალობისათვის (საბაკალავრო პროგრამისათვის).
- **60 ECTS კრედიტის** ფარგლებში სტუდენტს შეუძლია მისთვის სასურველი დამატებითი საბაკალავრო პროგრამის (სპეციალობის) არჩევა. დამატებითი პროგრამის არჩევა შესაძლებელია როგორც ძირითადი სპეციალობის განმახორციელებელ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ისე თსუ-ს სხვა ფაკულტეტებზე.

დამატებითი სპეციალობა სტუდენტს არ ანიჭებს აკადემიურ ხარისხს, მაგრამ დამატებითი სპეციალობა ძირითად სპეციალობასთან კომბინაციით, აღრმავებს სტუდენტის ზოგად და დარგობრივ კომპეტენციებს; და /ან აძლევს შესაძლებლობას შეიძინოს გარკვეული საბაზისო ცოდნა, რომელიც მას, ძირითად სპეციალობასთან ერთად, შრომის ბაზარზე ან განათლების შემდგომი საფეხურისათვის გამოსადეგ დარგობრივ კომპეტენციებს ჩამოუყალიბებს.

დამატებითი პროგრამის არ არჩევის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია 60 კრედიტი გამოიყენოს მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით მისთვის სასურველი საბაკალავრო სასწავლო კურსის შესასწავლად (ეს შეიძლება იყოს მისი ძირითადი ან დამატებითი სპეციალობის, მისივე ფაკულტეტის რომელიმე სხვა სპეციალობის, სხვა ფაკულტეტის ამა თუ იმ სპეციალობის საგანი/მოდული. საგნის ასარჩევად დაბრკოლება შეიძლება გახდეს ამ საგნის შესწავლის წინაპირობა და მსმენელთა რაოდენობის შეზღუდვა, ან ამ საგანზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა სიმცირე, ადამიანური და მატერიალური რესურსებიდან გამომდინარე). დამატებითი პროგრამის არ არჩევის შემთხვევაში სტუდენტს შეუძლია აგრეთვე გაიღრმავოს უცხო ენის დონე (კრედიტების მაქსიმალური რაოდენობა 40);

- **10 ECTS კრედიტი** განსაზღვრულია ე.წ. თავისუფალი კრედიტებისთვის (სტუდენტს ეძლევა შესაძლებლობა, რომ თავისი პროფესიული თუ პიროვნული განვითარების მიზნით, მთელი უნივერსიტეტის მასშტაბით აირჩიოს ნებისმიერი სასწავლო კურსი (მათ შორის უცხო ენა).

ბაკალავრის აკადემიური ხარისხის მინიჭების წინაპირობაა სტუდენტის მიერ 240 ECTS კრედიტის დაგროვება და ძირითადი პროგრამის 170 კრედიტის (50+120) შესრულება.

**რუსული ფილოლოგიის** საბაკალავრო ძირითადი (მაპროფილებელი) პროგრამის **120 ECTS კრედიტი** განაწილებულია სასწავლო და კვლევითი კომპონენტს, ანუ საბაკალავრო ნაშრომს, შორის შემდეგნაირად: სასწავლო კომპონენტს ეთმობა **110 ECTS კრედიტი**, ხოლო კვლევით კომპონენტს (საბაკალავრო ნაშრომს) - **10 ECTS კრედიტი**.

სასწავლო კომპონენტის **110 ECTS კრედიტიდან 20 ECTS კრედიტი** განკუთვნილია ე.წ. საკომპეტენციო კურსებისათვის (იგულისხმება ძირითადი ფილოლოგიური კომპეტენციები), **70 ECTS კრედიტი** ეთმობა სპეციალობის სავალდებულო სასწავლო კურსებს, **20 ECTS კრედიტი** – სპეციალობის არჩევით დისციპლინებს.

**სწავლების ენა:** ქართული ენა

**პროგრამის მიზანი:**

საბაკალავრო პროგრამა **რუსული ფილოლოგია** მიზნად ისახავს მისცეს სტუდენტს ფართო და ღრმა ცოდნა რუსული ფილოლოგიის სფეროში, სიღრმისეულად შესწავლოს რუსული ენისა და ლიტერატურის პრაქტიკული და თეორიული ასპექტები სიღრმისეული შესწავლა, რაც გულისხმობს დარგობრივი (ზოგადფილოლოგიური) და კონკრეტული (**რუსული ფილოლოგიის**) საბაზისო კომპეტენციების გამომუშავებას და განვითარებას; პროგრამა უქმნის სტუდენტს დარგის სამეცნიერო საფუძვლებს და სძენს მას როგორც დარგის მეთოდოლოგიურ კომპეტენციებს, ასევე პრაქტიკულ და პროფესიულ უნარ-ჩვევებს, რაც ბაკალავრ შემდგომში გაუადვილებს საბაზრო ეკონომიკის თანამედროვე პირობებში შრომის ბაზარზე დასაქმებასა და საზოგადოების წარმატებულ წევრად ქცევას.

პროგრამის უპირველეს მიზანს წარმოადგენს ენობრივი კომპეტენციების შექმნა. იგი უნდა შეესაბამებოდეს ევროკომისიის მიერ შემუშავებული ენობრივი პოლიტიკის ე.წ. „საერთოევროპული რეფერენციული ჩარჩოს“ პარამეტრებს, რას გულისხმობს კომპეტენციის ზრდას  $A_{1/2}$  - დან  $B_1/B_2$  დონემდე პირველი საფეხურის სწავლების ფარგლებში.

უცხო (რუსული) ენის ფლობის პრაქტიკული უნარ-ჩვევები ვითარდება ენობრივი ქმედების ოთხი კომპეტენციის შესაბამისად: ზეპირი მეტყველება, წერა, აუდირება და კითხვა. ენის პრაქტიკული კურსი აღრმავებს ინტერკულტურული ცოდნის კომპეტენციებს. წინამდებარე პროგრამა ითვალისწინებს ასევე მეცნიერულ მეთოდებზე დამყარებულ კვლევის უნარ-ჩვევების გამომუშავებას, რომელიც ვითარდება ორი მიმართულებით: რუსული ენათმეცნიერება და რუსული ლიტერატურათმცოდნეობა, რაც საფუძველს ქმნის სწავლის შემდგომ გაგრძელებასა და კვლევის დაწყებისთვის სამაგისტრო და სადოქტორო დონეებზე. პირველი საფეხურის სწავლების ფარგლებში კვლევის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება გულისხმობს: შესასწავლი საკითხის მართებულად დასმას, პრობლემატიკასთან დაკავშირებული ფაქტების კრიტიკულ

შეფასებას და ცოდნაზე დამყარებული დასკვნების გამოტანას, კომუნიკაციის უნარის გამომუშავებას, სწავლის უნარს და გარკვეული ღირებულებების შექმნას.

შეძენილი ცოდნა და მუშაობის უნარ-ჩვევები შეუქმნის სტუდენტს საფუძველს ცოდნის შემდგომი გაღრმავების, პროფესიულად ორიენტირებული სრულყოფისათვის. საბოლოო ჯამში პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტების - რუსისტების - მომზადება, რომლებიც ფლობენ სხვადასხვა პრაქტიკულ ცოდნას რუსული ფილოლოგიის დარგში.

საბაკალავრო პროგრამით **რუსული ფილოლოგია** გათვალისწინებული სტუდენტზე ორიენტირებული, კომპლექსური სწავლება მიზანმიმართულია სტუდენტის მრავალმხრივი ინტერესებისა და მოთხოვნების დაკმაყოფილებისაკენ, მისთვის პიროვნული და აკადემიური თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის, ეთიკური იდეალების, კრიტიკული, შემოქმედებითი და პროგრესული აზროვნების გამომუშავებისკენ; კონკურენტუნარიანი პროფესიული კადრის განვითარების, სრულფასოვანი მოქალაქის ჩამოყალიბებისა და ახალგაზრდებში ეროვნულ-ზოგადსაკაცობრიო ღირებულებათა დამკვიდრებისაკენ.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბაკალავრო პროგრამა **რუსული ფილოლოგია** შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ითვალისწინებს მისიით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას - საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას, ინოვაციურ კვლევებსა და სწავლებას, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.

საბაკალავრო პროგრამის **რუსული ფილოლოგია** მიზნები და ორიენტირები სრულად თანხვდება თსუ განვითარების გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას და თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ძირითად ამოცანებს და სტრატეგიულ ხედვას - უზრუნველყოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობა, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება.

**ფილოლოგიის ბაკალავრი** (სპეციალობით „**რუსული ფილოლოგია**“) იქნება ზოგადი ჰუმანიტარული განათლების მქონე სპეციალისტი-ფილოლოგი, რომელსაც გააზრებული ექნება მომავალი პროფესიის არსი და სოციალური მნიშვნელობა, რომელიც აღჭურვილი იქნება ძირითადი ფილოლოგიური დისციპლინების თეორიული საფუძვლების ცოდნითა და პრაქტიკული უნარ-ჩვევებით, გამოყენებითი ხასიათის მეცნიერული კვლევის ჩატარების გამოცდილებით, კულტურათშორისი კომუნიკაციის უნარით, ინდივიდუალური და ჯგუფური მუშაობის პრინციპებით, მზად იქნება სწავლების მეორე საფეხურის აკადემიური პროგრამების გასავლელად და შრომის ბაზარზე დასაქმებისათვის.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა** : ერთიანი ეროვნული გამოცდები

**სწავლის შედეგები:**

**რუსული ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამით მომზადებული ბაკალავრი უნდა იყოს ერუდირებული სპეციალისტი, მიღებული ჰქონდეს დარგის შესაბამისი ფართო და ზოგადი განათლება. ასევე მას უნდა

შეეძლოს დარგობრივ მონაცემთა ინტერპრეტირება და საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში დარგის მომიჯნავე სფეროებში გარკვევა.

ბაკალავრს უნდა ჰქონდეს კარგი პრაქტიკული მომზადება, გააჩნდეს დარგობრივი კომპეტენციები და შეეძლოს მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. ასევე მას უნდა ჰქონდეს შეძენილი ისეთი უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია სწავლის შემდგომი გაგრძელებისთვის.

რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშაოს შესაბამისი უნარები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებით.

- ცოდნა და გაცნობიერება:**

		<b>სასწავლო დისციპლინები</b>
<b>1.1</b>	ფილოსოფიური აზროვნების განვითარების ძირითადი ეტაპები, კონცეპტები და მეთოდები, ფილოსოფიის ისტორიის, პოლიტიკისა და რელიგიის ფილოსოფიის, ეთიკის, ესთეტიკისა და ლოგიკის, ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საფუძვლები.	<b>ფილოსოფიის შესავალი</b> (საფაკულტეტო სავალდებულო)
<b>1.2</b>	საქართველოს ისტორიის ძირითადი ეტაპები, ფაქტები და მოვლენები მსოფლიოს გეოპოლიტიკურ კონტექსტში.	<b>საქართველოს ისტორია</b> (საფაკულტეტო სავალდებულო)
<b>1.3</b>	აკადემიური წერის ძირითადი პრინციპები	<b>აკადემიური წერა</b> (საფაკულტეტო სავალდებულო)
<b>1.4</b>	რომელიმე სხვა (არამაპროფილებელი) სპეციალობის საფუძვლები, ძირითადი თეორიები, პრინციპები და კვლევის მეთოდები (არჩევით).	<b>საფაკულტეტო არჩევითი შესავალი</b>
<b>1.5</b>	ძირითადი ენათმეცნიერული თეორიები, პრინციპები და კვლევის მეთოდები.	<b>ენათმეცნიერების შესავალი</b> (საფაკულტეტო სავალდებულო); <b>ზოგადი ენათმეცნიერება</b>
<b>1.6</b>	ლიტერატურის თეორიის საფუძვლები	<b>ლიტერატურის თეორია</b>
<b>1.7</b>	ინგლისური ენა საშუალო (B1) ან საშუალოზე მაღალ (B2) დონეზე; არჩევის შემთხვევაში რომელიმე სხვა ევროპული ენა მინიმუმ A2 დონეზე.	<b>ინგლისური ენა</b> (საფაკულტეტო სავალდებულო); <b>რომელიმე სხვა ევროპული ენა</b> (საფაკულტეტო ევროპული ენა ; არჩევით)
<b>1.8</b>	ერთ–ერთი კლასიკური ან აღმოსავლური ენის საბაზისო კურსი (არჩევით)	ერთ–ერთი <b>კლასიკური ან აღმოსავლური ენა</b> (არჩევით)
<b>1.9</b>	სლავური ფილოლოგიის, როგორც კომპლექსური მეცნიერების, სლავისტიკის შემადგენელი ნაწილის ძირითადი მიმართულებებისა და დარგების შესახებ საბაზისო ცოდნა	<b>შესავალი სლავურ ფილოლოგიაში</b> (არჩევითი);
<b>1.10</b>	თარგმანთმცოდნეობის ძირითადი თეორიებისა და პრინციპების, რუსული ენიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად თარგმანის თავისებურებების ცოდნა;	<b>რუსული ენიდან თარგმანის თეორია და პრაქტიკა</b> (სავალდებულო)

1.11	<p>სპეციალობის მაპროფილებელ რუსულ ენაში საერთო ევროპული სარეკომენდაციო საბჭოს მიერ შემუშავებული ენის ცოდნის B2 დონის ფლობა, რაც გულისხმობს ენობრივ საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარებას (მოსმენა, კითხვა, მეტყველება, წერა) ამ დონის შესაბამისად. სტუდენტი</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- იგებს (აუდირება): ლექციას, ვრცელ მოხსენებას, თუ კი თემატიკა ცნობილია; რეპორტაჟსა და ახალ ამბებს მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით; ფილმის შინაარსს, თუ კი სცენარი სალიტერატურო ენაზეა დაწერილი;</li> <li>- იგებს (კითხვა): თანამედროვე პრობლემატიკაზე დაწერილ სტატიებსა და მოხსენებებს; თანამედროვე მხატვრული ლიტერატურას; დიდაქტიზირებულ სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურას; შეუძლია ინფორმაციის სხვადასხვა წყაროების გამოყენება</li> <li>- (მეტყველება): შეუძლია სპონტანური და შეუფერხებელი საუბარი, ნორმალური დიალოგის წარმართვა ენის მატარებელთან ორივე მოსაუბრის მხრიდან დიდი ძალისხმევის გარეშე; აქტიურ მონაწილეობას იღებს დისკუსიაში ნაცნობ თემებზე; შეუძლია მკაფიოდ და დეტალურად ისაუბროს სხვადასხვა თემებზე, განმარტოს გარკვეული აქტუალური საკითხისადმი დამოკიდებულება და მიუთითოს სხვადასხვა შესაძლებლობების უპირატესობები და ნაკლოვანი მხარეები; საუბრობს და არგუმენტების საფუძველზე იცავს საკუთარ შეხედულებებს;</li> <li>- (წერა): ნათლად და დასაბუთებულად გამოხატავს საკუთარ აზრს შერჩეულ თემაზე; ხსნის და განმარტავს საკუთარ თვალსაზრისს; შეუძლია ანგარიშის და თხზულების დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად.</li> </ul>	<p>რუსული ენა 1, 2, 3, 4, 5, 6 (სავალდებულო)</p>
1.12	<p>რუსული ენის ფონეტიკური, ლექსიკური, მორფოლოგიური და სინტაქსური სისტემების და მათი ფუნქციონირების ცოდნა</p>	<p>თანამედროვე რუსული ენის თეორიული ფონეტიკა; თანამედროვე რუსული ენის გრამატიკის საფუძვლები (მორფოლოგია, სინტაქსი)</p>
1.13	<p>რუსული ენის ლექსიკური მარაგის ცოდნა და მისი მაქსიმალურად თავისუფლად გამოყენების უნარი სხვადასხვა თემატიკაზე რუსულენოვანი ტექსტების (საგაზეთო, პუბლიცისტური, მხატვრული, საგანმანათლებლო) გაცნობა/გაცნობიერებისთვის, ასევე საუბრისა და დისკუსიის წარმართვისას; წერილობით ფორმით აზრის გამოთქმის პროცესში.</p>	<p>რუსული ენა 1,2,3,4,5,6 (სავალდებულო); თანამედროვე რუსული ენის ლექსიკოლოგია (სავალდებულო)</p>
1.14	<p>რუსული ენის ლექსიკის სისტემური ორგანიზაციის პრინციპების ცოდნა; ფრაზეოლოგიური და ლექსიკოგრაფიული მასალის ენათმეცნიერული ინტერპრეტაციის დინამიკის შესახებ სრული წარმოდგენა; ლექსიკურ ერთეულთა შორის მნიშვნელობის მიმართებათა ცოდნა; დიალექტური თავისებურებების</p>	<p>თანამედროვე რუსული ენის ლექსიკოლოგია (სავალდებულო)</p>

	ცოდნა; ლექსიკურ ერთეულთა კლასიფიკაცია-სისტემატიზაციის თეორიული წანამდგრებისა და დაჯგუფების წესების ცოდნა; რუსული ფრაზეოლოგიის საფუძვლების ცოდნა	
1.15	ლინგვისტური კომპარატივისტიკის ძირითადი დებულებების ცოდნა; ორი ტიპოლოგიურად განსხვავებული ენის - ქართული და რუსული - გრამატიკული სისტემების სპეციფიკის, განვითარების საერთო კანონზომიერებების ცოდნა	რუსულ და ქართული ენების შეპირისპირებითი გრამატიკა (არჩევითი)
1.16	რუსული ლიტერატურის ისტორიის სრული თეორიული კურსის ცოდნა; რუსული ლიტერატურის მსოფლიო ლიტერატურის და კულტურის სისტემაში ადგილისა და მნიშვნელობის ცოდნა; რუსული ემიგრანტული ლიტერატურის როგორც რუსული ლიტერატურის ნაწილის ცოდნა; ტექსტების დიდი მასივის ცოდნა; ფართო წარმოდგენა ორი საუკუნის მანძილზე კულტურათა დიალიგის სხვა და სხვა ფორმის შესახებ; ლიტერატურის ისტორიის სფეროში ძირითადი ცნებებისა და კონცეპციების ცოდნა.	რუსული ლიტერატურის ისტორია 1,2,3,4; რუსული ლიტერატურა და დასავლეთევროპული ლიტერატურული პროცესი; რუსული სალიტერატურო კრიტიკის ისტორია
1.17	თარგმანის თეორიის ზოგად პრინციპებზე წარმოდგენა. მხატვრული თარგმანის სპეციფიკაზე წარმოდგენის შექმნა. რუსულიდან ქართულად და ქართულიდან რუსულად წერილობითი და ზეპირი თარგმანის სპეციფიკაში გარკვევა, თარგმანის პრაქტიკული უნარ-ჩვევების გამომუშავება; ტერმინოლოგიური ეკვივალენტებისა და მთარგმნელობითი შესატყვისობების მოძებნის უნარის განვითარება; ზეპირი და წერითი თარგმანის ტექნიკის დაწყებითი უნარების განვითარება	რუსული ენიდან ქართულად თარგმანის თეორია და პრაქტიკა (სავალდებულო); აკადემიური წერა (საფაკულტეტო სავალდებულო)
1.18	რუსული ენის კულტურის სისტემის ცოდნა; სხვადასხვა ფუნქციონალური სტილის ძირითადი განსხვავებების ცოდნა; ლიტერატურული ნორმის პრობლემების და მისი თეორიული და კულტუროლოგიური ინტერპრეტაციის ცოდნა	რუსული მეტყველების კულტურა (არჩევითი)
1.19	რუსული ენის ისტორიული გრამატიკის ძირითადი ფაქტების ცოდნა; სლავებთან დამწერლობის წარმოშობის საკითხის ცოდნა; ძველი რუსული ენის ფონეტიკური სისტემის ცოდნა; ძველი რუსული ენის მორფოლოგიისა და სინტაქსის ძირითადი საკითხების ცოდნა; რუსული სალიტერატურო ენის ისტორიის პერიოდიზაციის და განვითარების ძირითადი მომენტების ცოდნა.	სალიტერატურო რუსული ენის ისტორია (არჩევითი)

• ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება:

2.1	ლოგიკური მსჯელობა, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება, სწორი დასკვნების და ფილოსოფიური ცნებებით ოპერირება.	ფილოსოფიის შესავალი (საფაკულტეტო სავალდებულო)
2.2	ჰუმანიტარულ სფეროში სხვადასხვა პრობლემატიკის ირგვლივ საკუთარი აზრის დამაჯერებლად ჩამოყალიბება / არგუმენტირება, მიზნის ადეკვატური ენობრივი ერთეულების შერჩევა და აკადემიურ გარემოში საჭირო სხვადასხვა	აკადემიური წერა (საფაკულტეტო სავალდებულო)

	დანიშნულების ტექსტების შექმნა.	
2.3	საშუალო ან საშუალოზე მაღალი სირთულის ტექსტის წაკითხვა და შექმნა ინგლისურ ენაზე. ერთ–ერთი სხვა ევროპული ენის (არჩევის შემთხვევაში) ცოდნის გამოყენება აკადემიური მიზნებისთვის.	ინგლისური ენა (საფაკულტეტო სავალდებულო); რომელიმე სხვა ევროპული ენა (საფაკულტეტო ევროპული ენა; არჩევით)
2.4	ერთ–ერთი კლასიკური ან აღმოსავლური ენის (არჩევით) ცოდნის გამოყენება აკადემიური მიზნებისთვის.	ერთ–ერთი კლასიკური ან აღმოსავლური ენა (არჩევით)
2.5	ჰუმანიტარული სფეროსთვის დამახასიათებელი ძირითადი მეთოდების გამოყენებით წყაროების დამუშავება და კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის განხორციელება წინასწარ განსაზღვრული მითითებების შესაბამისად.	საფაკულტეტო არჩევითი შესავალი
2.6	ძირითადი ენათმეცნიერული და ლიტერატურათმცოდნეობითი მეთოდების გამოყენება ამა თუ იმ პრობლემის გადასაჭრელად, კვლევითი ან პრაქტიკული ხასიათის პროექტის (ნაშრომის) განსახორციელებლად	ენათმეცნიერების შესავალი (საფაკულტეტო სავალდებულო); შესავალი ლიტერატურათმცოდნეობაში (საფაკულტეტო არჩევითი)
2.7	რუსული ენის პრაქტიკული გამოყენება მთელი რიგი წერილობითი კორესპონდენციისა და ზეპირმეტყველების მიზნებისათვის, საუბრის თავისუფლად წარმართვის უნარ-ჩვევები. რუსულ ენაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების წაკითხვის, მოსმენის, გაგების, თარგმნის, ანალიზის, ინტერპრეტაციისა და რეპროდუქციის უნარი.	რუსული ენა 1,2,3,4,5,6
2.8	პროფესიულ საქმიანობაში ან შემდგომი სწავლის პროცესში რუსული ენის ეფექტურად გამოყენების უნარი; საკუთარი აზრის თავისუფლად გამოხატვის, ნათლად, სტრუქტურირებულად ჩამოყალიბების, არგუმენტირებისა და განმარტებების გარკვევით გადმოცემის უნარი; ზეპირი მეტყველებისას ისეთი ენობრივი საშუალებების გამოყენების უნარი, რომელიც მაქსიმალური მოცულობითა და ეფექტით განახორციელებს დასმულ საკომუნიკაციო ამოცანებს.	რუსული ენა 1,2,3,4,5,6 რუსული მეტყველების კულტურა (არჩევითი)
2.9	ლინგვისტური ანალიზის ძირითადი ელემენტების ფლობა (ფონეტიკური ანალიზი, მორფოლოგიური ანალიზი, წინადადების სინტაქსური ანალიზი)	თანამედროვე რუსული ენის თეორიული ფონეტიკა; თანამედროვე რუსული ენის გრამატიკის საფუძვლები (მორფოლოგია, სინტაქსი) (სავალდებულო)
2.10	რუსული ენის სხვადასხვა ტიპის ლექსიკონების, მათ შორის ეტიმოლოგიური ლექსიკონების, გამოყენების უნარი; რუსული ენის ლექსიკური მარაგის პრაქტიკულად გამოყენების, ლექსიკურ ერთეულთა ქვეჯგუფებად კლასიფიკაციასისტემატიზაციის უნარ-ჩვევები.	თანამედროვე რუსული ენის ლექსიკოლოგია (სავალდებულო)

2.11	ენობრივი ერთეულების ლექსიკურ-სემანტიკური სპეციფიკის შემოქმედებითი შეფასების და კონკრეტულ სიტუაციაში ოპტიმალური ლექსიკური ვარიანტის შერჩევის უნარი; რუსული მეტყველების სოციალური, პროფესიული და დიალექტური თავისებურებების ცოდნას და დისკურსიულ პრაქტიკაში გამოყენების უნარს.	თანამედროვე რუსული ენის ლექსიკოლოგია (სავალდებულო)
2.12	კონტრასტული გრამატიკის სფეროში შემუშავებული მეთოდების მეშვეობით ენობრივი მასალის ანალიზის უნარი; ფლობს რუსულ-ქართული ენობრივი ურთიერთობის ძირითად საკითხებს (გრამატიკული კატეგორიების და სინტაქსური სტრუქტურების მსგავსება-განსხვავებები)	რუსული და ქართული ენების შეპირისპირებითი გრამატიკა (არჩევითი)
2.13	სათარჯიმნო ბიუროების ტიპიური დოკუმენტაციის და საქმიანი ქაღალდების რუსულიდან ქართულად და პირუკუ თარგმნის უნარი; საქმიანი საუბრების რუსულიდან ქართულად და პირუკუ სათარჯიმნო პრაქტიკის უნარ-ჩვევები.	რუსული ენა 1, 2, 3, 4, 5, 6 (სავალდებულო); რუსული ენიდან თარგმანის თეორია და პრაქტიკა
2.14	პროფესიულ სფეროებში ადაპტაციის უნარი. კონკრეტული, ვიწროდარგობლივი მონაცემების გააზრება როგორც ლინგვისტური, ისე ლიტერატურის თეორიისა მონაცემების კონტექსტში; ლინგვისტური და ლიტერატურული პროცესების ელემენტარული შეფასებისა და ანალიზის უნარი; ლიტერატურული ტექსტების და მათი შექმნის კონტექსტის, ლიტერატურული მიმართულებების, სკოლების ანალიზის უნარ-ჩვევები; ლიტერატურული ნაწარმოების ჟანრობრივი თავისებურების, მხატვრული მეთოდის სპეციფიკის და ავტორის ინდივიდუალური სტილის ანალიზის უნარი.	შესავალი სლავურ ფილოლოგიასი; რუსული ენა 1,2,3,4,5,6; ენათმეცნიერების შესავალი (სავალდებულო საფაკულტეტო); ზოგადი ენათმეცნიერება (არჩევითი); რუსული ენიდან ქართულად თარგმანის თეორია და პრაქტიკა (სავალდებულო); რუსული ლიტერატურის ისტორია 1,2,3,4 (სავალდებულო); რუსული სალიტერატური კრიტიკის ისტორია (არჩევითი); რუსული ლიტერატურა და დასავლეთევროპული ლიტერატურული პროცესი (არჩევითი); რუსული ემიგრანტული ლიტერატურა (არჩევითი); და პროგრამის სხვა არჩევითი დისციპლინები

• დასკვნის უნარი:

ფილოლოგიის ბაკალავრს რუსული ფილოლოგიის სპეციალობით შეუძლია ფილოლოგიური მეცნიერებების ამა თუ იმ აქტუალურ საკითხთან დაკავშირებით (სფეროსათვის დამახასიათებელი) მასალებისა და მონაცემების შეგროვება, განმარტება, გააზრება და სისტემატიზაცია, განყენებული მონაცემებისა და /ან სიტუაციების ანალიზი დარგობრივი სფეროსათვის შესაბამისი სტანდარტული და



ზოგიერთი გამორჩეული მეთოდის გამოყენებით, დასაბუთებული დასკვნის ჩამოყალიბება და მკაფიო არგუმენტებით დასაბუთება; დასამუშავებლად მიცემული მასალის ლოგიკურად აწყობა, ჩამოყალიბება და მისაღები ფორმულირებით გადმოცემა; აქვს პრობლემის სინქრონიაში და დიაქრონიაში ხედვის უნარი; სისტემის (სტრუქტურის) შემადგენელი ცალკეული ელემენტების ურთიერთზეგავლენის გააზრების, სიტუაციაში ადაპტირების და მინიმალური დახმარების პირობებში მუშაობის და გადაწყვეტილების მიღების უნარი; შესწავლილი დისციპლინების თეორიული დებულებების შემოქმედებითი გამოყენების უნარი პრაქტიკული პროფესიული ამოცანების გადაჭრისას. მინიმალური ზედამხედველობის /ხელმძღვანელობის პირობებში მას შეუძლია აბსტრაქტული მონაცემებისა და კონცეფციების საჭიროებისამებრ ტრანსფორმაცია და პრობლემის გადაჭრის გზების ძიება. შეუძლია მონაცემთა ინტერპრეტაცია, კრიტიკული შეფასება, სათანადო წერილობითი დასკვნის ჩამოყალიბება; სასპეციალიზაციო სფეროში კომპლექსური პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრისათვის სათანადო ცოდნისა და მეთოდების გამოყენება.

- **კომუნიკაციის უნარი**

**ფილოლოგიის** ბაკალავრს **რუსული ფილოლოგიის** სპეციალობით შეუძლია მაპროფილებელ ( რუსულ) ენაზე გაიგოს კონკრეტული და აბსტრაქტული თემების მქონე რთული, ფართო სპექტრის ტექსტების არსებითი შინაარსი, მას ესმის თავისი სპეციალობის სფერო და შეუძლია დარგობრივი დისკუსიის წარმართვა; შეუძლია სპონტანური და შეუფერხებელი საუბარი, ნორმალური დიალოგის წარმართვა ენის მატარებელთან; შეუძლია მკაფიოდ, თავისუფლად და დეტალურად ისაუბროს სხვადასხვა თემებზე, განმარტოს გარკვეული აქტუალური საკითხისადმი დამოკიდებულება და მიუთითოს სხვადასხვა შესაძლებლობების უპირატესობები და ნაკლოვანი მხარეები. შეუძლია დამოუკიდებლად და სწრაფად სხვადასხვა თემებზე დაწერილი საშუალოზე მაღალი და რთული ტექსტების კითხვა; ინფორმაციის სხვადასხვა წყაროების გამოყენება; აქვს კარგი ცოდნა ხშირად გამოყენებადი იდიომების, ანდაზებისა და ფრაზეოლოგიური ერთეულებისა, შეუძლია მათი ეფექტური და ადეკვატური გამოყენება. შეუძლია წერილობით მკაფიოდ ჩამოაყალიბოს თავისი აზრები და შეხედულებები სხვადასხვა თემებზე; შეუძლია ანგარიშის, საქმიანი წერილის, მოთხრობისა და სხვადასხვა ტიპის ესეს დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად.

მას შეუძლია ასევე სწავლებისა და კვლევის პროცესში თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების, რუსული ფილოლოგიასა და ზოგადად ფილოლოგიურ მეცნიერებებში არსებული უახლესი ელექტრონული რესურსების გამოყენება.

მას აქვს სპეციალისტებისა და არასპეციალისტებისათვის რუსულ ფილოლოგიასთან დაკავშირებული ინფორმაციის ზეპირად გადაცემის უნარი როგორც რუსულ, ისე ინგლისურ ენაზე.

- **სწავლის უნარი:**

**ფილოლოგიის** ბაკალავრს **რუსული ფილოლოგიის** სპეციალობით აქვს სამუშაო დროის სწორად და რაციონალურად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი: თავისი პასუხისმგებლობისა და კომპეტენციის სფეროში შეუძლია სამუშაოს დაწყებამდე სამუშაოს შესრულების გეგმის შედგენა, პრიორიტეტების

გამოყოფა, მუშაობის პროცესში საჭირო რესურსების უზრუნველყოფა და გამოყენება, ჯგუფის გამოცდილ და პროფესიონალ წევრებთან/ხელმძღვანელთან კონსულტირება. მას ესმის ცოდნის გაღრმავების აუცილებლობა; შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის მართვა რესურსების ფართო სპექტრის გამოყენებით.

სტუდენტს შეუძლია საკუთარი სწავლის პროცესის და რუსულ ფილოლოგიაში შექმნილი ცოდნის თანმიმდევრულად და მრავალმხრივად შეფასება, შემდგომი სწავლის საჭიროებების დადგენა. შეუძლია საკუთარ თავზე მუშაობა და ბაკალავრიატში სწავლის მანძილზე მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფა. შეუძლია დამოუკიდებელი მუშაობა მინიმალური ხელმძღვანელობის პირობებში წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების შესაბამისად. შეუძლია სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურაზე დამოუკიდებელი მუშაობით ცოდნის განახლება; კვლევით სამუშაოს ასრულებს წინასწარ შეთანხმებული რეკომენდაციების/ინსტრუქციების მიხედვით ხელმძღვანელის მეთვალყურეობის ქვეშ. მას აქვს განათლების შემდგომ (სამაგისტრო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა და უნარი.

რუსული ენის შესწავლის პროცესში მეტად მნიშვნელოვანია ტექნოლოგიური უნარების განვითარება, ვინაიდან დღეს უკვე სასწავლო პროცესში აუცილებლად მოიაზრება მულტიმედიური მეთოდებიც. თანამედროვე მეთოდიკით დამუშავებული სასწავლო პროგრამები და ენის პრაქტიკული კურსები ცალსახად ითვალისწინებენ საგნის შესწავლას ტექნიკური საშუალებების (აუდიო, ვიდეო, კომპიუტერული) დახმარებით. პრეზენტაციებისა და რეფერატების წარმოსადგენად სტუდენტს შეუძლია ზეპირმეტყველების პროცესში თვალსაჩინოების მიზნით გამოიყენოს აგრეთვე ტექნიკური საშუალებები (პროექტორი, კომპიუტერი, ფოლიე, დაფა, პოსტერები), რათა მიღწეულ იქნას სწავლის სასურველი შედეგი. ახალი ფორმების დანერგვა რუსული ენის სწავლების პროცესში იმდენად მოქნილია, რომ ანალოგიური მეთოდოლოგია წარმატებით მუშაობს თეორიული და სალექციო კურსების წარმართვისათვის, რაც სტუდენტს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის უნარს.

#### • ღირებულებები

**ფილოლოგიის** ბაკალავრს **რუსული ფილოლოგიის** სპეციალობით აქვს კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; მას ახასიათებს ტოლერანტობა, განსხვავებული კონფესიების, კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა და მათ დასამკვიდრებლად სწრაფვა.

ბაკალავრს **რუსული ფილოლოგიის** სპეციალობით კარგად აქვს გაცნობიერებული პროფესიული, სოციალური და ეთიკური, მორალური პასუხისმგებლობა და სათანადო აკადემიური და ეთიკური ნორმები. იცავს აკადემიური პატიოსნებისა და სტანდარტებს; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკას.

სტუდენტი ეუფლება სხვა კულტურულ და ნაციონალურ საფუძველზე წარმოქმნილი შეხედულებების გააზრებასა და პატივისცემას. ეთიკური და სოციალური ღირებულებების ფლობა სტუდენტს ამზადებს საზოგადოებაში მისი მომავალი როლისთვის, რაც წარმატებულ მოქალაქედ ჩამოყალიბებასა და

საზოგადოებაში ღირსეული ადგილის დამკვიდრების შესაძლებლობაში გამოიხატება.

### **სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:**

სწავლის შედეგების მისაღწევად *რუსული ფილოლოგიის* პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, საბაკალავრო ნაშრომის, დასკვნითი გამოცდის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, წერითი მუშაობის მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი; პრაქტიკული მეთოდები; დისკუსია; დებატები; ჯგუფური მუშაობა; პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება; თანამშრომლობითი სწავლება; ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, ევრისტიკული მეთოდი; შემთხვევის ანალიზი; გონებრივი იერიში, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი და სხვ.).

სასწავლო პროცესი დაგეგმილია როგორც ტრადიციული, ასევე თანამედროვე ინტერაქტიული მეთოდების და სტრატეგიების გამოყენებით. თავისუფალი კომუნიკაციის უნარის განვითარებაზე ორიენტირებულია შემდეგი მეთოდები:

**დისკუსია/დებატები** – დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხს სასწავლო პროცესში, მათ აქტივობას. დისკუსიის მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთების უნარს.

**გონებრივი იერიში (Brain storming)** - მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას.

**ჯგუფური მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

**ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

ტექსტის კითხვის და ინტერპრეტაციის ეფექტურ მეთოდებს მიეკუთვნება აგრეთვე პაუზებით კითხვა, ასოციაციური კავშირები, მოზაიკა და სხვ.

**როლური და სიტუაციური თამაშები** - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. როლური და სიტუაციური თამაშები განსაკუთრებით ეფექტურია ენის სწავლების პროცესში და ხელს უწყობს სტუდენტის მაქსიმალურ მოტივირებას და მობილიზებას იმიტირებულ სიტუაციაში ჩასართველად.

**დემონსტრირების მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მიეწოდოს სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ. ეს მეთოდი გვეხმარება თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩინს საკითხის/პრობლემის არსს.

ზემოთ ჩამოთვლილი ინტერაქტიური მეთოდების გარდა პროგრამის განხორციელების დროს გამოყენებული იქნება შემდეგი ტრადიციული მეთოდები, რომლებიც გამდიდრებულია თანამედროვე მიდგომით:

#### **ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი -**

- **სწავლების ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- **სწავლების დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- **სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

- **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

**ახსნა–განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

**ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

**წერითი მუშაობის მეთოდი**, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება და ა.შ.

გრამატიკული მასალის ახსნის პროცესში ძალიან ეფექტურია სქემების და დიაგრამების შედგენა (ვენის დიაგრამა, თეზისის ჩონჩხი, T-სქემა, კლასტერები და სხვ.).

**რუსული ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განხორციელებისას გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების პროცესში გამოყენებული ფორმატი და სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

საბაზისო დარგობრივი ცოდნის შემენისას სასწავლო პროგრამის **რუსული ფილოლოგია** ფარგლებში თითოეული დისციპლინა ეფუძნება თანამედროვე მეთოდოლოგიურ მიდგომებს, რაც, უწინარეს ყოვლისა, ითვალისწინებს სწავლის სტრატეგიისა და დროის მართებულად ორგანიზებას, აგრეთვე პრობლემის წამოჭრასა და მის გადაწყვეტას. ზემოაღნიშნულ ჩვევებს სტუდენტი იძენს სააუდიტორიო მუშაობის პროცესში, როდესაც იგეგმება მეცადინეობის თითოეული საფეხური და მიზანმიმართულად ხორციელდება ინტერაქციული კომუნიკაცია სწავლების პროცესში. თანამედროვე დიდაქტიკური სახელმძღვანელოები ასევე უთითებენ სწავლის ცალკეული საფეხურის სტრატეგიული დაგეგმვის აუცილებლობას, ვინაიდან მართებულად ორგანიზებული დრო განსაზღვრავს ცოდნის მაღალ ხარისხს. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ენიჭება დროის მართებულ განაწილებას ჯგუფური ან ინდივიდუალური პროექტებისა და პრეზენტაციებისას, რადგან დაგეგმილი და განხორციელებული ზეპირი კომუნიკაცია სააუდიტორიო მუშაობას უფრო ეფექტურს ქმნის.

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ენის სწავლების სტრატეგიის მართებულად შერჩევას, მისი თითოეული ეტაპის მომზადებას, სწორად დაგეგმვას, მოსალოდნელი შედეგების რეალისტურ გათვლას და მათ ეტაპობრივ რეალიზებას. ამგვარი სტრატეგიისა და დაგეგმვის აუცილებლობა განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ საბაკალავრო პროგრამის **რუსული ფილოლოგია** ბევრი თეორიული სალექციო და

პრაქტიკული კურსი რუსულ ენაზე და რუსულენოვან ტექსტზე ორიენტირებულ სწავლებაზეა დაფუძნებული.

### სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა

უნივერსიტეტში სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, 05.01.07 შესაბამისად და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს №77/2011 25.07.11 დადგენილებით „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“.

აღნიშნული დოკუმენტების თანახმად, **რუსული ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა დატვირთვა მოიცავს: ა) ლექციებზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობას; ბ) დამოუკიდებელი მუშაობის დროს; დ) გამოცდების მომზადება-ჩაბარებას; ე) სასწავლო-კვლევით ნაშრომზე (თარგმანი, საბაკალავრო ნაშრომი და სხვ.) მუშაობას; ვ) სასწავლო-კვლევითი ნაშრომის დაცვას; ზ) სხვა სახის სასწავლო საქმიანობას პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა.

დასკვნითი გამოცდა შესაძლებელია შეფასდეს არანაკლებ 30 და არა უმეტეს 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერიტი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს (კომბინირებული გამოცდა); დასკვნითი სემესტრული გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 – ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი, C; 61-70– დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით/სასწავლო კურსით/ განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან. სასწავლო კურსების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები მოცემულია სასწავლო კურსების შესაბამის სილაბუსებში.

სწავლების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტთან უკუკავშირს, მათ დროულ და დეტალურ ინფორმირებას შუალედური შეფასების და ფინალური გამოცდის შედეგების შესახებ, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს, სწავლის პროცესში უკეთ გაიაზროს თავიანთი შეცდომები, სუსტი მხარეები და იზრუნონ თავიანთ პროფესიულ განვითარებაზე.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **რუსული ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში ჩართული სასწავლო კურსების სასემინარო და პრაქტიკული მუშაობა ითვალისწინებს ყოველი შუალედური შეფასების შემდეგ ლექტორის მიერ სტუდენტთათვის ცოდნის შეფასების შედეგების გაცნობას, ანალიზს, ტიპური შეცდომების განხილვას. შუალედური შეფასებების და ფინალური გამოცდის შეფასების გაცნობისა და განმარტების მიზნით შესაძლოა, გამოყენებულ იქნას ასევე პროგრამის აკადემიური პერსონალის სავალდებულო საკონსულტაციო საათები.

### **დასაქმების სფეროები**

შემნილი ცოდნა და მუშაობის უნარ-ჩვევები შეუქმნის სტუდენტს საფუძველს ცოდნის შემდგომი გაღრმავების, პროფესიონალურად ორიენტირებული სრულყოფისათვის.

სწავლის დამთავრების შემდეგ წინამდებარე პროგრამის კურსდამთავრებულის შრომითიმოწყობა შესაძლებელია:

ზოგადსაგანმათლებლო დაწესებულებებში (საქართველოს განათლების სამინისტროს ნორმატიული აქტებისა და დადგენილებების შესაბამისად დამატებითი კვალიფიკაციის მიღების შემთხვევაში), ენების ცენტრებში და საზაფხულო ბანაკებში (უცხოელ მოქალაქეებთან), სათარჯიმნო ბიუროებში, კულტურის ცენტრებში, ბიბლიოთეკებში, არქივებში, საინფორმაციო-ანალიტიკურ და მას-მედიის ცენტრებში, გამომცემლობებში, დიპლომატიურ სამსახურში, საერთაშორისო სავაჭრო და კულტურულ ორგანიზაციებში, არასამთავრობო სექტორში, ტურისტულ სფეროში, სოციალური და ჰუმანიტარული პროფილის სამთავრობო ორგანიზაციებში.

ახალგაზრდა სპეციალისტის დასაქმებისთვის არანაკლები მნიშვნელობა ენიჭება კურსდამთავრებულების პიროვნულ განვითარებასა და მოქალაქეობრივ ღირებულებებს. რუსული ფილოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამის კურსდამთავრებული ჩამოყალიბდება როგორც კრიტიკულად მოაზროვნე პოლიკულტურული პიროვნება, რომელსაც გაცნობიერებული ექნება ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ფასეულობები, საკუთარი საზოგადოებრივი პოზიცია, ჩამოყალიბებული ექნება სამყაროს „საკუთარი“ ხედვა, კონკურენტუნარიანი იქნება საერთაშორისო შრომის ბაზარზე.

**სასწავლო გეგმა:** იხ. დანართი 1

**სასწავლო კურსის სილაბუსები:** იხ. დანართი 2

### **პროგრამის ხელმძღვანელი:**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი მარინა ალექსიძე (იხ. დანართი NI – Curriculum Vitae)

### **დამატებითი ინფორმაცია:**

რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის დაწყება მიზანშეწონილია **სწავლების მეორე სემესტრიდან** (მაპროფილებელი - რუსული ენის სწავლება ექვსი სემესტრის მანძილზე გრძელდება და საბაკალავრო პროგრამის 8 სემესტრში გასავლელად რუსული ენის პირველ საფეხურზე სწავლების **მეორე სემესტრშივე** უნდა დარეგისტრირდეს სტუდენტი);

რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებისათვის რეკომენდებულია, ევროპული ენის **საფაკულტეტო სავალდებულო 10 კრედიტის** გარდა, სრულიად **თავისუფალი 10 კრედიტის** ხარჯზე, სტუდენტმა გაიღრმავოს ამ ენის ცოდნა და აიმაღლოს მისი დონე თსუ ენების ცენტრის მიერ შემოთავაზებული ევროპული ენების დონეთა მიხედვით დიფერენცირებული სასწავლო კურსების მეშვეობით.

რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამის სტუდენტს დამატებითი სპეციალობის არჩევისას ვურჩევთ, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფარგლებში ყურადღება შეაჩეროს **პედაგოგიკის, ქართული ფილოლოგიის, ისტორიის** დამატებით პროგრამებზე; ასევე სასურველია სოციალ-პოლიტიკური პროფილის დამატებითი პროგრამების, ეკონომიკის ფაკულტეტიდან კი ტურიზმისა და მასპინძლობის ეტიკეტის დამატებითი პროგრამის აღება. ამ დამატებითი პროგრამების კომბინირება რუსული ფილოლოგიის ძირითად პროგრამასთან გაუფართოებს სტუდენტს ცოდნის არეალს და მისცემს კურსდამთავრებულს შრომით ბაზარზე წარმატებით დასაქმების მეტ შანსს.

### **ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:**

**რუსული ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ: უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (სრული და ასოცირებული პროფესორები), შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორები და მკვლევარები, თსუ ენების ცენტრის მასწავლებლები, რომელთაც აქვთ **რუსული ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამისა და კონკრეტული სასწავლო კურსის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება. მაღალკვალიფიციური პრაქტიკოსი მასწავლებლები უძღვებიან ინგლისური ენის პრაქტიკულ მეცადინეობებს. პროგრამის ყველა თეორიულ სასწავლო კურსს უძღვება დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, მკვლევარი, მრავალი სამეცნიერო პუბლიკაციის და სასწავლო სახელმძღვანელოს ავტორი.

**რუსული ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის კურსების უდიდესი ნაწილი ( გარდა საუნივერსიტეტო კურსებისა) იკითხება რუსულ ენაზე, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს სრულყოფილად შეისწავლონ რუსული ენა.

მიმართულების პროფესურა მონაწილეობს საერთაშორისო მნიშვნელობის კონფერენციებსა და პროგრამებში, მათ იწვევენ ევროპის უნივერსიტეტებში ლექციებისა და სემინარების წასაკითხად.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია რუსული ფილოლოგიის მიმართულების გამოცდილი და საერთაშორისო აღიარების მქონე აკადემიური პერსონალი: სრული პროფესორები, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი დავით გოცირიძე, სრული პროფესორები, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მარინა ფილინა, ასოცირებული პროფესორი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მარინა ალექსიძე (პროგრამის ხელმძღვანელი); ასოცირებული პროფესორი ფილოლოგიის მეცნიერებათა



დოქტორი ნატა ბასილაია; ასოცირებული პროფესორი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მია თუხარელი, ასოცირებული პროფესორი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ნოდარ პორაქიშვილი.

**ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:**

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება ფაკულტეტის რუსისტიკის დეპარტამენტის ბაზაზე, რომელიც აღჭურვილია სასწავლო ტექნიკით (ტელევიზორი, კომპიუტერი, აუდიო და ვიდეოკასეტები, კომპაქტ-დისკები). სტუდენტთათვის ხელმისაწვდომია როგორც თსუ ცენტრალური, ისე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკები; ასევე რუსისტიკის დეპარტამენტის ბიბლიოთეკა; უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის კომპიუტერული რესურს-ცენტრები.

**პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა:**

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის **რუსული ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა ხდება ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტიდან, რომელიც უნივერსიტეტის ბიუჯეტის შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. საფაკულტეტო ბიუჯეტი უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელებაში ჩართული აკადემიური პერსონალისა და მოწვეული ლექტორების შრომის ანაზღაურებას, პროგრამის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მოვლასა და სრულყოფას.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ამა თუ იმ აკადემიურ თანამდებობაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, საკონკურსო თანამდებობასთან კონკურსანტის კვალიფიკაციისა და კომპეტენციის შესაბამისობის მიხედვით არჩეული აკადემიური პერსონალისა და ფაკულტეტის/ინსტიტუტის/დეპარტამენტის/ პროგრამის ხელმძღვანელის წარდგინებით მოწვეული პერსონალის (დოქტორები, მეცნიერ-მკვლევრები, მასწავლებლები) პროგრამის განხორციელების პროცესში ჩართულობის სტაბილურობას უზრუნველყოფს მათთან შრომითი ხელშეკრულების გაფორმება და ამ ხელშეკრულების პირობები.

**დამატებითი საბაკალავრო პროგრამის დასახელება: საბაკალავრო დამატებითი პროგრამა რუსულ ფილოლოგიაში / Russian Philology**

**დამატებითი პროგრამის მოცულობა კრედიტებით: 60 კრედიტი**

რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო დამატებითი პროგრამის 60 კრედიტიდან 40 კრედიტი ეთმობა მაპროფილებელ დისციპლინებს; 20 კრედიტი დამატებითი სპეციალობის არჩევით დისციპლინებს (სადაც სტუდენტი ირჩევს რუსული ფილოლოგიის ძირითადი პროგრამის ნებისმიერ სავალდებულო ან არჩევით დისციპლინას, რომლის წინაპირობასაც აკმაყოფილებს).

**სწავლების ენა: ქართული**

**პროგრამის მიზანი:**

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაზაზე მოქმედი რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო დამატებითი პროგრამა ინარჩუნებს ამავე დარგის ძირითადი საბაკალავრო პროგრამის პროფილს.

პროგრამის მიზანია, მისცეს სტუდენტს ზოგადი ცოდნა რუსული ფილოლოგიის დარგში და აღჭურვოს ის იმ დარგობრივი კომპეტენციებითა და უნარებით, რომლებიც უზრუნველყოფს მისი შანსების გაზრდას შრომით ბაზარზე ძირითად (მაპროფილებელ) სპეციალობასთან კომბინაციაში წარმატებით დასასაქმებლად.

რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო დამატებითი პროგრამა მასში ჩართული აკადემიური რესურსით, სასწავლო კომპონენტით მიზნად ისახავს, მოიცვას დარგის ფართო ცოდნა და გაითვალისწინოს ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნები, აგრეთვე უზრუნველყოს საკუთარი კურსდამთავრებულისთვის შესაბამისი და მომიჯნავე სპეციალობებით სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

დამატებითი სპეციალობის ფარგლებში მოსმენილი საგნები აისახება დიპლომის დანართში, მაგრამ დამატებითი სპეციალობა სტუდენტს არ ანიჭებს კვალიფიკაციას და აკადემიურ ხარისხს. უმაღლესი განათლების პირველი სფეროს დამატებითი პროგრამა მიზნად ისახავს ნაწილობრივ სავალდებულო დარგობრივი (ზოგადფილოლოგიური) კომპეტენციების დაუფლებას დამატებით პროგრამა უქმნის სტუდენტს დარგის ზოგად საფუძველს და სძენს ნაწილობრივ როგორც დარგის მეთოდოლოგიურ კომპეტენციებს, ასევე პრაქტიკულ და პროფესიულ უნარ-ჩვევებს. პირველ რიგში გამიზნულია პრაქტიკული ენობრივი კომპეტენციების და დარგის ფარგლებში არსებითი უნარ-ჩვევების შეძენა. იგი უნდა შეესაბამებოდეს ევროკომისიის მიერ შემუშავებული ენობრივი პოლიტიკის ე.წ. „საერთოევროპული რეფერენციული ჩარჩოს“ პარამეტრებს, რას გულისხმობს კომპეტენციის ზრდას A<sub>1/2</sub> - დან B<sub>1</sub>/B<sub>2</sub> დონემდე დამატებითი პროგრამის ფარგლებში. უცხო ენის ფლობის პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს სტუდენტი იაქტიურებს ენობრივი ქმედების ოთხი კომპეტენციის შესაბამისად: ზეპირი მეტყველება, წერა, აუდირება და კითხვა. ენის პრაქტიკული კურსი აღრმავებს ინტერკულტურული ცოდნის კომპეტენციებს. ძირითადი პროგრამიდან „რუსული ფილოლოგია“. დამატებითი პროგრამის ფარგლებში შეძენილი კომპეტენციები ძირითად სპეციალობასთან ერთად გაუფართოვებს ბაკალავრს შრომითი მოწყობის არეალს.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რუსული ფილოლოგიის დამატებითი საბაკალავრო პროგრამა შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და ითვალისწინებს მისიით გათვალისწინებული მიზნების განხორციელებას - საზოგადოების ინტელექტუალური, ზნეობრივი, კულტურული და სოციალურ-ეკონომიკური განვითარების ხელშეწყობას, ინოვაციურ კვლევებსა და სწავლებას, სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლებას და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადებას, საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას.

რუსული ფილოლოგიის დამატებითი საბაკალავრო პროგრამის მიზნები და ორიენტირები სრულად თანხვდება თსუ განვითარების გრძელვადიან სტრატეგიულ გეგმას და თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ძირითად ამოცანებს და სტრატეგიულ ხედვას - უზრუნველყოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა თანამედროვე სტანდარტების შესატყვისი, მომავალზე ორიენტირებული განათლების მიღების შესაძლებლობა, სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება და კონკურენტუნარიანი კადრების მომზადება.

**დამატებით პროგრამაზე მიღების წინაპირობა :** წინაპირობის გარეშე

**სწავლის შედეგი**

რუსული ფილოლოგიის დამატებითი საბაკალავრო პროგრამით მომზადებულ ბაკალავრს უნდა ჰქონდეს დარგის შესაბამისი ზოგადი ცოდნა სპეციალობის განმსაზღვრელ ძირითად და არჩევით დისციპლინებში, პირველ რიგში შესაბამისი ენობრივი ცოდნა; ასევე მას უნდა შეეძლოს დარგობრივ მონაცემთა ინტერპრეტირება საკუთარი კომპეტენციების ფარგლებში. ბაკალავრს უნდა ჰქონდეს კარგი პრაქტიკული მომზადება, გააჩნდეს დარგობრივი კომპეტენციები და შეეძლოს მიღებული ცოდნის საკუთარ ძირითად სპეციალობასთან კომბინირებით პრაქტიკაში გამოყენება. ასევე მას უნდა ჰქონდეს შეძენილი ისეთი უნარ-ჩვევები, რომელიც აუცილებელია სწავლის შემდგომი გაგრძელებისთვის.

რუსული ფილოლოგიის დამატებით საბაკალავრო პროგრამაზე სწავლის შედეგებია:

**ცოდნა და გაცნობიერება**

საერთაშორისო რეფერენციალური ჩარჩოს მოთხოვნათა შესაბამისად *პრაქტიკული ენის* ცოდნის გაღრმავება ზოგადი კომპეტენციების მიხედვით (უადირება, კითხვა, მეტყველება, წერა).

- **ცოდნა და გაცნობიერება:**

		სასწავლო დისციპლინები
1.1	სპეციალობის მაპროფილებელ რუსულ ენაში საერთო ევროპული სარეკომენდაციო საბჭოს მიერ შემუშავებული ენის ცოდნის B2 დონის ფლობა, რაც გულისხმობს ენობრივ საკომუნიკაციო კომპეტენციების განვითარებას (მოსმენა, კითხვა, მეტყველება, წერა) ამ დონის შესაბამისად. სტუდენტი - იგებს ( <i>აუდირება</i> ): ლექციას, ვრცელ მოხსენებას, თუ კი	რუსული ენა 1,2,3,4 (სავალდებულო)

	<p>თემატიკა ცნობილია; რეპორტაჟსა და ახალ ამბებს მიმდინარე მოვლენებთან დაკავშირებით; ფილმის შინაარსს, თუ კი სცენარი სალიტერატურო ენაზეა დაწერილი;</p> <ul style="list-style-type: none"> <li>- იგებს (კითხვა): თანამედროვე პრობლემატიკაზე დაწერილ სტატიებსა და მოხსენებებს; თანამედროვე მხატვრული ლიტერატურას; დიდაქტიზირებულ სამეცნიერო დარგობრივ ლიტერატურას; შეუძლია ინფორმაციის სხვადასხვა წყაროების გამოყენება;</li> <li>- (მეტყველება): შეუძლია სპონტანური და შეუფერხებელი საუბარი, ნორმალური დიალოგის წარმართვა ენის მატარებელთან ორივე მოსაუბრის მხრიდან დიდი ძალისხმევის გარეშე; აქტიურ მონაწილეობას იღებს დისკუსიაში ნაცნობ თემებზე; შეუძლია მკაფიოდ და დეტალურად ისაუბროს სხვადასხვა თემებზე, განმარტოს გარკვეული აქტუალური საკითხისადმი დამოკიდებულება და მიუთითოს სხვადასხვა შესაძლებლობების უპირატესობები და ნაკლოვანი მხარეები; საუბრობს და არგუმენტების საფუძველზე იცავს საკუთარ შეხედულებებს;</li> <li>- (წერა): ნათლად და დასაბუთებულად გამოხატავს საკუთარ აზრს შერჩეულ თემაზე; ხსნის და განმარტავს საკუთარ თვალსაზრისს; შეუძლია ანგარიშის და თხზულების დაწერა, არგუმენტების მოყვანა სხვადასხვა შეხედულებების საწინააღმდეგოდ ან მხარდასაჭერად.</li> </ul>	
1.2	<p>რუსული ენის გრამატიკის საფუძვლების თეორიული კურსის ცოდნა: რუსული სიტყვათწარმოებისა და მორფოლოგიის ძირითადი ასპექტებისა და წესების ცოდნა; თანამედროვე სალიტერატურო რუსული ენის მორფოლოგიური ნორმების ცოდნა; თანამედროვე რუსული ენის სინტაქსური აგებულების, სინტაქსური ერთეულების, სინტაქსური კავშირების შესახებ ძირითადი ცოდნა;</p>	<p><b>რუსული ენის გრამატიკის საფუძვლები</b> (მორფოლოგია, სინტაქსი)</p>
1.3	<p>ცოდნა XIX საუკუნის II ნახევრის რუსული ლიტერატურის სხვადასხვა მიმართულებების და სკოლების შესახებ; მოცემული პერიოდის რუსული კლასიკური ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწარმოებების შესახებ; შასწავლილი ეპოქის საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის შესახებ; ზოგადი წარმოდგენა ამ პერიოდის რუსეთის ისტორიის შესახებ</p>	<p><b>რუსული ლიტერატურის ისტორია 3</b></p>

<p>1.4</p>	<p>ცოდნა XX საუკუნის რუსული ლიტერატურის სხვადასხვა მიმართულებების და სკოლების შესახებ; სტუდენტები გაეცნობიან რუსული ლიტერატურის აღნიშნული პერიოდის ნაწარმოებებს, როგორც “ვერცხლის საუკუნის”, ასევე საბჭოთა პერიოდის რუსული ლიტერატურის მნიშვნელოვანი ნაწარმოებების შესახებ; XX საუკუნის საზოგადოებრივ-პოლიტიკური სიტუაციის შესახებ; ზოგადი წარმოდგენა აღნიშნული პერიოდის რუსეთის ისტორიის შესახებ.</p>	<p><b>რუსული ლიტერატურის ისტორია 4</b></p>
------------	--	--

**ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი**

		სასწავლო დისციპლინები
<p>2.1</p>	<p>რუსულ ენაზე სხვადასხვა ტიპის ტექსტების მოსმენა, გაგება, ანალიზი, ინტერპრეტაცია და რეპროდუქცია</p>	<p><b>რუსული ენა 1,2,3,4</b></p>
<p>2.2</p>	<p>რუსული ენის პრაქტიკულად გამოყენების უნარი როგორც წერილობით კორესპონდენციაში, ასევე ზეპირ მეტყველებაში</p>	<p><b>რუსული ენა 1,2,3,4 (სავალდებულო)</b></p>
<p>2.3</p>	<p>რუსულ ენაზე საკუთარი მეტყველების (წერითი და ზეპირი) რუსული სალიტერატურო ენის ნორმებთან შესაბამისად სწორად აგების უნარი; წინადადების მრავალასპექტიანი სინტაქსური ანალიზის უნარი; წინადადებაში სიტყვათშეთანხმებების გამოყოფის და მათი ანალიზის უნარი</p>	<p><b>რუსული ენის გრამატიკის საფუძვლები (სინტაქსი)(სავალდებულო)</b></p>
<p>2.4</p>	<p>რუსული ენის მეტყველების ნაწილების პრაქტიკული ანალიზის უნარი; თანამედროვე სალიტერატურო რუსული ენის მართწერის წესების პრაქტიკული ცოდნა;</p>	<p><b>რუსული ენის გრამატიკის საფუძვლები (მორფოლოგია)(სავალდებულო)</b></p>
<p>2.5</p>	<p>ლიტერატურული მიმართულებების ანალიზის ელემენტარული უნარები; შესწავლილი ტექსტების პრაქტიკული ანალიზის უნარი; ეპოქის საზოგადოებრივი მოვლენების ანალიზის უნარი; კონკრეტული ნაწარმოებების შექმნის კონტექსტის ანალიზის უნარი.</p>	<p><b>რუსული ლიტერატურის ისტორია 3,4 (სავალდებულო)</b></p>
<p>2.6</p>	<p>სამეცნიერო ლიტერატურის დამუშავების პრაქტიკული უნარი</p>	<p><b>რუსული ენის გრამატიკის საფუძვლები; რუსული ლიტერატურის ისტორია 3,4 (სავალდებულო)</b></p>
<p>2.7</p>	<p>თანამედროვე ლინგვისტურ და ლიტმცოდნეობით ლიტერატურაში ორიენტირების უნარი</p>	<p><b>რუსული ენის გრამატიკის საფუძვლები; რუსული ლიტერატურის ისტორია 3,4 (სავალდებულო)</b></p>
<p>2.8</p>	<p>პროფესიულ სფეროებში ადაპტორების უნარი; კონკრეტული, ვიწროსპეციალური მონაცემების გააზრება როგორც ლინგვისტური, ასევე ლიტმცოდნეობით</p>	<p><b>რუსული ენის გრამატიკის საფუძვლები; რუსული ლიტერატურის ისტორია 3,4 (სავალდებულო)</b></p>

	ასპექტი	
2.9	სხვადასხვა წყაროებიდან ინფორმაციის მოძიების, ანალიზის, დალაგების, შეჯამებისა და გამოყენების უნარი	რუსული ენის გრამატიკის საფუძვლები; რუსული ლიტერატურის ისტორია 3,4 (სავალდებულო)

### დასკვნის უნარი

დარგობლივ სფეროში არგუმენტირების, კრიტიკული შეფასების, ანალიზის საფუძველზე სათანადო წერილობითი დასკვნის ჩამოყალიბების უნარი; დასამუშავებლად მიცემული მასალის ლოგიკურად აწყობა, ჩამოყალიბება და მისაღები ფორმულირებით გადმოცემა.

### კომუნიკაციის უნარი

მინიმალური დახმარების პირობებში ინფორმაციის ეფექტურად მოპოვების უნარი როგორც პირველადი, ისე მეორადი საინფორმაციო წყაროებიდან, მათ შორის ინტერნეტის და სხვადასხვა ტექნოლოგიური საშუალებების გამოყენებით, ასევე ამ ინფორმაციის დამუშავება და სინთეზი დარგობრივ სფეროში მიღებული მეთოდების გამოყენებით. რუსულ ენაზე ზეპირი და წერითი პრეზენტაციებისთვის თანამედროვე საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების შემოქმედებითად გამოყენების უნარი; კომუნიკაციური კომპეტენცია, რომელიც ითვალისწინებს საერთაშორისო კომუნიკაციის აქტებსა და ტექსტებში ასახულ მეტყველებისა და სამეტყველო ქცევის კულტურული ფენის ადექვატურ გაგებას; ახალ სიტუაციაში ადაპტირების უნარი; ახალ კულტურულ და ენობრივ გარემოში კომუნიკაციის უნარი (რუსულ ენაზე). ჯგუფური მუშაობის, დისკუსიაში მონაწილეობის, პროფესიული კამათის უნარ-ჩვევები.

### სწავლის უნარი

სამუშაო დროის სწორად და რაციონალურად დაგეგმვისა და ორგანიზების უნარი. საკუთარ თავზე მუშაობის და ბაკალავრიატში სწავლის მანძილზე მიღებული ცოდნისა და უნარების პრაქტიკულ საქმიანობაში დამოუკიდებლად სრულყოფის უნარი; განათლების შემდგომ (სამაგისტრო) საფეხურზე სწავლის გაგრძელების შესაძლებლობა.

### ღირებულებები

კულტურათაშორისი განსხვავებების, კულტურული მრავალფეროვნების აღქმის, ადეკვატური გაგებისა და პატივისცემის უნარი; ტოლერანტობა, განსხვავებული კულტურებისა და აზრის პატივისცემა; დემოკრატიული ფასეულობების პატივისცემა.

სოციალური და ეთიკური, მორალური პასუხისმგებლობის გამომუშავება; პროფესიული ეთიკის ნორმების დაცვა; აკადემიური პატიოსნებისა და სტანდარტების დაცვა; ინტერპერსონალური ურთიერთობების ეთიკა.

**სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:** სწავლის შედეგების მისაღწევად **რუსული ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამა ლექციის, სამუშაო ჯგუფის, პრაქტიკული მეცადინეობის, საშინაო დავალების, შუალედური შეფასების, პრეზენტაციის, რეფერატის, ესეს, თარგმანის, საკონტროლო წერის, დასკვნითი გამოცდის, საბაკალავრო ნაშრომის და სხვ. ფორმატში იყენებს სხვადასხვა მეთოდს (ვერბალური მეთოდი, წიგნზე მუშაობის მეთოდი, მასალის დაკონსპექტება, ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი, ჯგუფური მუშაობა, ევრისტიკული მეთოდი, როლური და სიტუაციური თამაშები, დისკუსია/დებატები, ახსნა-განმარტებითი მეთოდი, ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება, წერითი დავალებები და სხვ.).

სასწავლო პროცესი დაგეგმილია როგორც ტრადიციული, ასევე თანამედროვე ინტერაქტიული მეთოდების და სტრატეგიების გამოყენებით. თავისუფალი კომუნიკაციის უნარის განვითარებაზე ორიენტირებულია შემდეგი მეთოდები:

**გონებრივი იერიში (Brain storming)** - მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას.

**დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიული სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდია. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. დისკუსიის მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის არგუმენტირებულად დასაბუთების უნარს.

**ჯგუფური მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

**ევრისტიკული მეთოდი** – ეფუძნება სტუდენტების წინაშე დასმული ამოცანის ეტაპობრივ გადაწყვეტას. ეს ამოცანა სწავლების პროცესში ფაქტების დამოუკიდებლად დაფიქსირებისა და მათ შორის კავშირების დანახვის გზით ხორციელდება.

ტექსტის კითხვის და ინტერპრეტაციის ეფექტურ მეთოდებს მიეკუთვნება აგრეთვე პაუზებით კითხვა, ასოციაციური კავშირები, მოზაიკა და სხვ.

**როლური და სიტუაციური თამაშები** - სცენარის მიხედვით განხორციელებული როლური თამაშები სტუდენტს საშუალებას აძლევს სხვადასხვა პოზიციიდან შეხედოს საკითხს და ეხმარება მას ალტერნატიული თვალსაზრისის ჩამოყალიბებაში. როლური და სიტუაციური თამაშები განსაკუთრებით ეფექტურია ენის სწავლების პროცესში და ხელს უწყობს სტუდენტის მაქსიმალურ მოტივირებას და მობილიზებას იმიტირებულ სიტუაციაში ჩასართველად.

ზემოთ ჩამოთვლილი ინტერაქტიური მეთოდების გარდა პროგრამის განხორციელების დროს გამოყენებული იქნება შემდეგი ტრადიციული მეთოდები, რომლებიც გამდიდრებულია თანამედროვე მიდგომით:

**ინდუქცია, დედუქცია, ანალიზი და სინთეზი -**

**სწავლების ინდუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა კერძოდან ზოგადისაკენ, ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას, პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.

**სწავლების დედუქციური მეთოდი** განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის გადაცემის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.

**სასწავლო პროცესში ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში, ამით მარტივდება რთული პრობლემების შიგნით არსებული ცალკეული საკითხების დეტალური გაშუქება.

**სინთეზის მეთოდი** გულისხმობს შებრუნებულ პროცედურას, ანუ ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემების, როგორც მთელის დანახვის უნარის განვითარებას.

**ახსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას, მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.

**ლექციის გადაცემის ზეპირი მეთოდი და წერითი მუშაობის მეთოდი** გულისხმობს სალექციო თემის მოსმენას, ძირითადი დებულებების ჩანიშვნასა და თეზისების შედგენას;

**პრობლემაზე დაფუძნებული სწავლების მეთოდი (PBL)** ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას;



**ქმედებაზე ორიენტირებული სწავლება** – მოითხოვს პროფესორისა და სტუდენტის აქტიურ ჩართულობას სწავლების პროცესში, სადაც განსაკუთრებულ დატვირთვას იძენს თეორიული მასალის პრაქტიკული ინტერპრეტაცია.

**დემონსტრირების მეთოდი** ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია, ხშირ შემთხვევაში უმჯობესია მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივაწოდოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ.

**წერითი მუშაობის მეთოდი**, რომელიც გულისხმობს შემდეგი სახის აქტივობებს: ამონაწერებისა და ჩანაწერების გაკეთება, მასალის დაკონსპექტება, თეზისების შედგენა, რეფერატის, ან ესეს შესრულება და ა.შ.

გრამატიკული მასალის ახსნის პროცესში ძალიან ეფექტურია სქემების და დიაგრამების შედგენა (ვენის დიაგრამა, თევზის ჩონჩხი, T-სქემა, კლასტერები და სხვ.), ჯგუფში და წყვილებში მუშაობა.

**რუსული ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის სასწავლო კომპონენტის განხორციელებისას გამოიყენება სწავლების სხვადასხვა მეთოდი. ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს მეთოდთა შერწყმას. პროგრამის შემადგენელი კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლების პროცესში გამოიყენებული ფორმატი და სწავლების მეთოდები მითითებულია თითოეული სასწავლო კურსის სილაბუსში.

საბაზისო დარგობრივი ცოდნის შექმნისას **რუსული ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში ჩართული თითოეული დისციპლინა თავისი სპეციფიკიდან გამომდინარე ირჩევს სწავლების მეთოდოლოგიურ მიდგომებს, რაც, უწინარეს ყოვლისა, გამოიხატება სწავლებისა და სწავლის სტრატეგიის განსაზღვრაში და დროის მართებულად ორგანიზებაში, ცოდნის მაღალი ხარისხის მისაღწევად.

### **სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:**

უნივერსიტეტში სტუდენტის ცოდნის შეფასება ხდება „უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტებით გაანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანების N3, 05.01.07 შესაბამისად და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს N77/2011 25.07.11 დადგენილებით „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის დამტკიცების შესახებ“.

აღნიშნული დოკუმენტების თანახმად, **რუსული ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის სტუდენტთა დატვირთვა მოიცავს: ა) ლექციებზე დასწრებას, სამუშაო ჯგუფში მუშაობას, პრაქტიკულ მეცადინეობას; ბ) დამოუკიდებელი მუშაობის დროს; დ) გამოცდების მომზადება-ჩაბარებას; ე) სასწავლო-კვლევით ნაშრომზე (თარგმანი, საბაკალავრო ნაშრომი და სხვ.) მუშაობას; ვ) სასწავლო-კვლევითი ნაშრომის დაცვას; ზ) სხვა სახის სასწავლო საქმიანობას პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

სტუდენტის საქმიანობის შეფასება ითვალისწინებს შუალედურ შეფასებებსა და დასკვნითი გამოცდის შეფასებას. სასწავლო კურსის მაქსიმალური შეფასება განისაზღვრება 100 ქულით. მინიმალურ შეფასებას წარმოადგენს 51 ქულა.

დასკვნითი გამოცდა ფასდება 40 ქულით. დასკვნითი სემესტრული გამოცდის ჩატარების სავალდებულო ფორმაა წერითი გამოცდა. სასწავლო კურსის სპეციფიკის გათვალისწინებით, იგი დამატებით შეიძლება ზეპირი გამოცდის კომპონენტსაც შეიცავდეს (კომბინირებული გამოცდა); დასკვნითი სემესტრული გამოცდის ფორმატს ადგენს შესაბამისი სასწავლო კურსის ავტორი/ავტორები. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით შესაძლებელია დაუგროვდეს 51 ქულა.

უნივერსიტეტში მოქმედი სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად, შეფასება ხორციელდება შემდეგნაირად: 91 -100 – ფრიადი, A; 81-90 – ძალიან კარგი, B; 71-80– კარგი, C; 61-70– დამაკმაყოფილებელი, D; 51-60–საკმარისი, E; 41-50– ვერ ჩააბარა, FX; 0-40 – ჩაიჭრა, F. შეფასების კრიტერიუმები მოცემულია კონკრეტულ სილაბუსებში. შეფასება ხორციელდება მინიმუმ ოთხი კომპონენტის მიხედვით.

სტუდენტთა ცოდნის შეფასების პროცესში გამოყენებული შეფასების მეთოდები სრულ შესაბამისობაშია როგორც მთლიანად პროგრამით, ისე მისი ცალკეული კომპონენტით/სასწავლო კურსით/ განსაზღვრულ სწავლის შედეგებთან, შესაბამის დარგობრივ და ზოგად (ტრანსფერულ) უნარებთან. სასწავლო კურსების შეფასების ფორმები და კრიტერიუმები მოცემულია სასწავლო კურსების შესაბამის სილაბუსებში.

სწავლების პროცესში განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება სტუდენტთან უკუკავშირს, მათ დროულ და დეტალურ ინფორმირებას შუალედური შეფასების და ფინალური გამოცდის შედეგების შესახებ, რაც სტუდენტს საშუალებას აძლევს, სწავლის პროცესში უკეთ გაიაზროს თავიანთი შეცდომები, სუსტი მხარეები და იზრუნონ თავიანთ პროფესიულ განვითარებაზე.

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის *რუსული ფილოლოგიის* საბაკალავრო პროგრამის კურიკულუმში ჩართული სასწავლო კურსების სასემინარო და პრაქტიკული მუშაობა ითვალისწინებს ყოველი შუალედური შეფასების შემდეგ ლექტორის მიერ სტუდენტთათვის ცოდნის შეფასების შედეგების გაცნობას, ანალიზს, ტიპური შეცდომების განხილვას. შუალედური შეფასებების და ფინალური გამოცდის შეფასების გაცნობისა და განმარტების მიზნით შესაძლოა, გამოყენებულ იქნას ასევე პროგრამის აკადემიური პერსონალის სავალდებულო საკონსულტაციო საათები.

#### **პროგრამის ხელმძღვანელი:**

ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი მარინა ალექსიძე  
(*იხ. დანართი NI – Curriculum Vitae*)

#### **დამატებითი ინფორმაცია:**

დამატებით სპეციალობის არჩევის ბოლო ვადა არის არაუგვიანეს მეოთხე სემესტრი.

**ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსების შესახებ:**

**რუსული ფილოლოგიის** დამატებით საბაკალავრო პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობას იღებენ: უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალი (სრული და ასოცირებული პროფესორები), შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე მოწვეული ლექტორები და მკვლევარები, თსუ ენების ცენტრის მასწავლებლები, რომელთაც აქვთ **რუსული ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი კომპეტენცია, პროგრამისა და კონკრეტული სასწავლო კურსის პროფილის შესაბამისი აკადემიური ხარისხი, სწავლებისა და კვლევის გამოცდილება. მაღალკვალიფიციური პრაქტიკოსი მასწავლებლები უძღვებიან ინგლისური ენის პრაქტიკულ მეცადინეობებს. პროგრამის ყველა თეორიულ სასწავლო კურსს უძღვება დარგის მაღალკვალიფიციური სპეციალისტი, მკვლევარი, მრავალი სამეცნიერო პუბლიკაციის და სასწავლო სახელმძღვანელოს ავტორი.

**რუსული ფილოლოგიის** საბაკალავრო პროგრამის კურსების უდიდესი ნაწილი ( გარდა საუნივერსიტეტო კურსებისა) იკითხება რუსულ ენაზე, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს სრულყოფილად შეისწავლონ რუსული ენა.

მიმართულების პროფესურა მონაწილეობს საერთაშორისო მნიშვნელობის კონფერენციებსა და პროგრამებში, მათ იწვევენ ევროპის უნივერსიტეტებში ლექციებისა და სემინარების წასაკითხად.

პროგრამის განხორციელებაში ჩართულია რუსული ფილოლოგიის მიმართულების გამოცდილი და საერთაშორისო აღიარების მქონე აკადემიური პერსონალი: სრული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი დავით გოცირიძე, სრული პროფესორი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მარიამ ფილინა, ასოცირებული პროფესორი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მარინა ალექსიძე (პროგრამის ხელმძღვანელი); ასოცირებული პროფესორი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ნატა ბასილაია; ასოცირებული პროფესორი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი მაია თუხარელი, ასოცირებული პროფესორი ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი ნოდარ პორაქიშვილი.

**ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი მატერიალური რესურსების შესახებ:**

თსუ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის რუსული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამა ხორციელდება ფაკულტეტის რუსისტიკის ინსტიტუტის ბაზაზე. რუსისტიკის ინსტიტუტი აღჭურვილია სასწავლო ტექნიკით (ტელევიზორი, კომპიუტერი, აუდიო და ვიდეოკასეტები, კომპაქტ-დისკები). სტუდენტთათვის ხელმისაწვდომია როგორც თსუ ცენტრალური, ისე ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკები; ასევე რუსისტიკის ინსტიტუტის ბიბლიოთეკა; უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის კომპიუტერული რესურს-ცენტრები.

## სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: **ჰუმანიტარულ მეცნიერებათა**

ინსტიტუტი / დეპარტამენტი / კათედრა / მიმართულება: **რუსისტიკის ინსტიტუტი**

სასწავლო პროგრამის სახელწოდება: **რუსული ფილოლოგია**

სწავლების საფეხური: **ბაკალავრიატი (240 კრედიტი)**

სასწავლო პროგრამის ხელმძღვანელები / კოორდინატორები: **ასოცირებული პროფესორი მარინა ალექსიძე**

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: **№57/2011**

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): **2012-2013 სასწავლო წელი**

### პროგრამის სტრუქტურა

საფაკულტეტო კურსები / მოდულები												
საფაკულტეტო (საბაზისო) სავალდებულო კურსები / მოდულები – 20 კრედიტი (ECTS)												
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტების რაოდენობა ECTS	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები სემესტრში		სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში			დასკვნითი გამოცდის ჩაბარება	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემეტრი		ლექტორი/ლექტორები
			ლექცია	სამუშაო / ჯგუფი / პრაქტიკული	ლექცია-პრაქტიკუმებისათვის მოსამზადებელი	შუალედური გამოცდის/გამოცდების მოსამზადებელი	დასკვნითი გამოცდის მოსამზადებელი			შემოდგომა	გაზაფხული	
	ენათმეცნიერების შესავალი	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
	აკადემიური წერა	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ნ. ბასილაია
	ფილოსოფიის შესავალი	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
	საქართველოს ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	





	(არაქართულენოვანი სტუდენტებისათვის)											
ქართული ენა A1.1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი		
ქართული ენა A1.2	5	60	45	8	10	2	ქართული ენა A1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი		
ქართული ენა A2.1	5	60	45	8	10	2	ქართული ენა A1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი		
ქართული ენა A2.2	5	60	45	8	10	2	ქართული ენა A2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი		
ქართული ენა B1.1	5	60	45	8	10	2	ქართული ენა A2.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი		
ქართული ენა B1.2	5	60	45	8	10	2	ქართული ენა B1.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი		
ქართული ენა B2.1	5	60	45	8	10	2	ქართული ენა B1.2 ან ტესტი	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი		
ქართული ენა B2.2	5	60	45	8	10	2	ქართული ენა B2.1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი		
<b>საფაკულტეტო არჩევითი კურსები (კლასიკური ან აღმოსავლური ენა) – 10 კრედიტი (ECTS)</b>												
	<b>ძველი ბერძნული ენა (საფაკულტეტო)</b>	<b>10</b>										
ძველი ბერძნული ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი		
ძველი ბერძნული ენა 2	5	60	45	8	10	2	ძველი ბერძნული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი		
	<b>ლათინური ენა(საფაკულტეტო)</b>	<b>10</b>										
ლათინური ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი		
ლათინური ენა 2	5	60	45	8	10	2	ლათინური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი		
	<b>არაბული ენა (საფაკულტეტო)</b>	<b>10</b>										
არაბული ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი		
არაბული ენა 2	5	60	45	8	10	2	არაბული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი		
	<b>სპარსული ენა (საფაკულტეტო)</b>	<b>10</b>										
სპარსული ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი		
სპარსული ენა 2	5	60	45	8	10	2	სპარსული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი		
	<b>თურქული ენა(საფაკულტეტო)</b>	<b>10</b>										
თურქული ენა1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი		
თურქული ენა2	5	60	45	8	10	2	თურქული ენა1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი		

	<b>ებრაული ენა (საფაკულტეტო)</b>	<b>10</b>										
	ებრაული ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი	
	ებრაული ენა 2	5	60	45	8	10	2	ებრაული ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი	
	<b>იაპონური ენა (საფაკულტეტო)</b>	<b>10</b>										
	იაპონური ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი	
	იაპონური ენა 2	5	60	45	8	10	2	იაპონური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი	
	<b>ჩინური ენა (საფაკულტეტო)</b>	<b>10</b>										
	ჩინური ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი	
	ჩინური ენა 2	5	60	45	8	10	2	ჩინური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი	
	<b>ახალი სომხური ენა 1(საფაკულტეტო)</b>	<b>10</b>										
	ახალი სომხური ენა 1	5	60	45	8	10	2	წინაპირობის გარეშე	✓		ენების ცენტრის მასწავლებელი	
	ახალი სომხური ენა 2	5	60	45	8	10	2	ახალი სომხური ენა 1		✓	ენების ცენტრის მასწავლებელი	
<b>საფაკულტეტო არჩევითი კურსები (შესავალი კურსები) – 10 კრედიტი (ECTS)</b>												
	შესავალი ლიტერატურათმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	ირმა რატიანი
	შესავალი ისტორიის მეცნიერებებში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
	შესავალი არქეოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი ეთნოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი კულტურის მეცნიერებებში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი ხელოვნებათმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი კავკასიოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი აღმოსავლეთმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი ქართულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი ინგლისურ ფილოლოგიაში	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
	შესავალი გერმანულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
	შესავალი რომანულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		



შესავალი კლასიკურ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
შესავალი ბიზანტიურ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
შესავალი ახალ ბერძნულ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
შესავალი სლავურ ფილოლოგიაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ნ. ჭოხონელიძე
შესავალი ამერიკისმცოდნეობაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
შესავალი პედაგოგიკაში	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
<b>ყველა ფილოლოგიური პროგრამისათვის სავალდებულო კურსები - 20 კრედიტი (ECTS)</b>											
ლიტერატურის თეორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	
ზოგადი ენათმეცნიერება	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
<b>მსოფლიო ლიტერატურის ისტორია</b>	5								✓	✓	
ქართული ლიტერატურის ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
ანტიკური ლიტერატურის ისტორია	5	30	30	45	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	
ბიზანტიური ლიტერატურის ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
ახალი ბერძნული ლიტერატურის ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
რუსული ლიტერატურის ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ნ. ფორაქიშვილი
ფრანგული ლიტერატურის ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
იტალიური ლიტერატურის ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
ესპანური ლიტერატურის ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		
ინგლისური ლიტერატურის ისტორია (მოკლე კურსი, ინგლისურ ენაზე)	5	15	15	75	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓	✓	მანანა გელაშვილი
გერმანული ლიტერატურის ისტორია	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		ალექსანდრე თვარაძე
<b>თარგმანის თეორია და პრაქტიკა</b>											
რუსული ენიდან თარგმანის თეორია და პრაქტიკა	5	30	15	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე	✓		დ. გოცირიძე

სპეციალობის სავალდებულო კურსები – 80 კრედიტი (ECTS)												
რუსული ენა 1	5	30	60	20	6 (3+3)	5	4	წინაპირობის გარეშე		✓		
რუსული ენა 2	5	30	60	20	6	5	4	რუსული ენა 1	✓			
რუსული ენა 3	5	30	60	20	6	5	4	რუსული ენა 2		✓		
რუსული ენა 4	5	30	60	20	6	5	4	რუსული ენა 3	✓			
რუსული ენა 5	5	30	60	20	6	5	4	რუსული ენა 4		✓		
რუსული ენა 6	5	30	60	20	6	5	4	რუსული ენა 5	✓			
რუსული ლიტერატურის ისტორია - 1	5	30	30	43	8	9	5	რუსული ენა 1	✓		მ. თუხარელი	
რუსული ლიტერატურის ისტორია - 2	5	30	30	43	8	9	5	რუსული ლიტერატურის ისტორია - 1		✓	მ. თუხარელი	
რუსული ლიტერატურის ისტორია - 3	5	30	30	43	8	9	5	რუსული ლიტერატურის ისტორია - 2	✓		მ. ფილინა	
რუსული ლიტერატურის ისტორია - 4	5	30	30	43	8	9	5	რუსული ლიტერატურის ისტორია - 3		✓	მ. ფილინა	
თანამედროვე რუსული ენის თეორიული ფონეტიკა	5	30	30	43	8	9	5	რუსული ენა 1	✓		მ. ალექსიძე	
თანამედროვე რუსული ენის ლექსიკოლოგია	5	30	30	43	8	9	5	თანამედროვე რუსული ენის თეორიული ფონეტიკა		✓	დ. გოცირიძე	
თანამედროვე რუსული ენის გრამატიკის საფუძვლები (მორფოლოგია)	5	30	30	43	8	9	5	რუსული ენა 1	✓		ნ. ბასილაია	
თანამედროვე რუსული ენის გრამატიკის საფუძვლები (სინტაქსი)	5	30	30	43	8	9	5	რუსული ენის გრამატიკის საფუძვლები (მორფოლოგია)		✓	მ. ალექსიძე	
<b>საბაკალავრო ნაშრომი</b>	<b>10</b>									✓		
სპეციალობის არჩევითი კურსები - 20 კრედიტი (ECTS)												
რუსული სალიტერატურო კრიტიკის ისტორია	5	30	15	58	8	9	5	წინაპირობის გარეშე		✓	ნ. ფორაქიშვილი	

რუსული ლიტერატურა და დასავლეთევროპული ლიტერატურული პროცესი	5	30	15	58	8	9	5	წინაპირობის გარეშე		✓	მ. თუხარელი
რუსული მეტყველების კულტურა	5	30	15	58	8	9	5	წინაპირობის გარეშე	✓		ნ. ბასილაია
რუსული და ქართული ენების შეპირისპირებითი გრამატიკა	5	30	15	58	8	9	5	წინაპირობის გარეშე	✓		მ. ალექსიძე
რუსული ემიგრანტული ლიტერატურა	5	30	15	58	8	9	5	წინაპირობის გარეშე	✓		მ. ფილინა
გამოყენებითი რუსისტიკა	5	30	15	58	8	9	5	წინაპირობის გარეშე		✓	დ. გოცირიძე
რუსული სალიტერატურო ენის ისტორია	5	30	15	58	8	9	5	წინაპირობის გარეშე	✓		მ. ალექსიძე
ქართული ენის პრაქტიკული გრამატიკა <sup>1</sup>	5	15	30	60	8	9	3	წინაპირობის გარეშე		✓	ლ. გეგუჩაძე
<b>თავისუფალი კრედიტები – 10 კრედიტი (ECTS)</b>											
<i>სტუდენტს შეუძლია პროგრამის ხელმძღვანელთან კონსულტაციით აირჩიოს ორი საგანი სხვა საბაკალავრო პროგრამიდან ან ისწავლოს უცხო ენა.</i>											

<sup>1</sup> 2014 წლის გაზაფხულის სემესტრამდე აღნიშნული სასწავლო დისციპლინის ნაცვლად სტუდენტს შეეძლო აერჩია საგანი - ქართული წერისა და მეტყველების კულტურა ქართული ფილოლოგიის საბაკალავრო პროგრამიდან.

## დამატებითი პროგრამა „რუსული ფილოლოგია“ (60 ECTS კრედიტი)

სავალდებულო კურსები – 40 კრედიტი (ECTS)													
კოდი	სასწავლო კურსის დასახელება	კრედიტები	სრალონობა	სტუდენტის საკონტაქტო მუშაობის საათები	სემესტრში	სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის საათები სემესტრში			დასკვნითი გამოცდის	საგანზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი		ლექტორი/ლექტორები
	რუსული ენა 1	5	30	60	20	6 (3+3)	5	4	წინაპირობის გარეშე		✓		
	რუსული ენა 2	5	30	60	20	6	5	4	რუსული ენა 1	✓			
	რუსული ენა 3	5	30	60	20	6	5	4	რუსული ენა 2		✓		
	რუსული ენა 4	5	30	60	20	6	5	4	რუსული ენა 3	✓			
	თანამედროვე რუსული ენის გრამატიკის საფუძვლები (მორფოლოგია)	5	30	30	43	8	9	5	რუსული ენა 2		✓		ნ. ბასილაია
	რუსული ენის გრამატიკის საფუძვლები (სინტაქსი)	5	30	30	43	8	9	5	თანამედროვე რუსული ენის გრამატიკის საფუძვლები (მორფოლოგია)	✓			მ. ალექსიძე
	რუსული ლიტერატურის ისტორია -1	5	30	30	43	8	9	5	წინაპირობის გარეშე		✓		მ. ფილინა
	რუსული ლიტერატურის ისტორია - 2	5	30	30	43	8	9	5	რუსული ლიტერატურის ისტორია - 1	✓			მ. ფილინა
არჩევითი კურსები – 20 კრედიტი (ECTS)													
	სტუდენტს შეუძლია აირჩიოს ძირითადი პროგრამის სავალდებულო ან არჩევითი საგნებიდან ნებისმიერი სასწავლო კურსი												

პროგრამის ხელმძღვანელის(ების) ხელმოწერა \_\_\_\_\_

ვაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა \_\_\_\_\_

ვაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა \_\_\_\_\_

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა \_\_\_\_\_

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა \_\_\_\_\_

თარიღი \_\_\_\_\_

ფაკულტეტის ბეჭედი